მოქალაქეობის არმქონე ბოშათა მხარდაჭერის პროექტი

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა სახელმწიფო უწყებებთან

შეხვედრის თარიღი - 4 ოქტომბერი, 2017

შეხვედრის დრო - 16 საათი

შეხვედრის ადგილი -

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მისამართი - ლ. გუდიაშვილის 7

ადამიანის უფლებების განვითარების ფონდი გიწვევთ ბოშათა საკითხებთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე. აღნიშნული შეხვედრა ტარდება პროექტის - „მოქალაქეობის არმქონე ბოშათა მხარდაჭერის“ შესახებ, რომელსაც ფონდი პარტნიორ ორგანიზაციასთან - NESEHNUTI[1] ერთად ახორციელებს.

ბოშათა თემი დღემდე რჩება ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფად ეთნიკურ უმცირესობებს შორის. მიუხედავად არა ერთი ანგარიშისა, ბოშათა სამართლებრივი მდგომარეობა თითქმის უცვლელი რჩება, მათი პრობლემები კი მოუგვარებელი.

პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა ბოშათა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებით. სამუშაო ჯგუფის წევრია სახალხო დამცველის აპარატიც.

ა/წ 4 აგვისტოს, ჩატარდა სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა, სადაც ორგანიზაციებმა განიხილეს ბოშათა სამართლებრივი მდგომარეობა, მათი პრობლემები და იმსჯელეს პრობლემის მოგვარების გზებზეც.

ვინაიდან ბოშათა ინტეგრაცია მხოლოდ სამოქალაქო სექტორის აქტიური მუშაობით შეუძლებელია და დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო უწყებების ჩართულობასაც ამ პროცესში, სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა ერთობლივი შეხვედრის ორგანიზება სახელმწიფო უწყებებთან.

შეხვედრის მიზანია - სამოქალაქო სექტორისა და სახელმწფიო უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლა და სამომავლო პატრნიორობა, რომელშიც მოიაზრება ერთობლივი გეგმის შემუშავება ბოშათა ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის.

მცირემასშტაბიანი ადგილობრივი პროექტი დაფინანსებულია ჩეხეთის რესპუბლიკის გარდამავალი ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში.

Ministry of Foreign Affairs of the Czech Republic

[1] ჩეხეთში არსებული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს ეთნიკური უმცირესობების, მათ შორის, ბოშათა საკითხებზე.
http://nesehnuti.cz/